სესხის გამცემი სუბიექტი - შპს „ლომბარდი-XXI-ს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 222937311) მიმართ დაკისრებული ფულადი ჯარიმის თაობაზე

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სესხის გამცემი სუბიექტი - შპს „ლომბარდი-XXI“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 222937311) „სესხის გამცემი სუბიექტისთვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 სექტემბერი №218/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ორი მომხმარებლის/მონაცემთა სუბიექტის საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში მათი თანხმობის გარეშე გადამოწმებისათვის 2,000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით დააჯარიმა. აღნიშნული ფულადი ჯარიმა ეფუძნება „საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №195/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნის დარღვევის ორ შემთხვევას.